ალექს ჩიღვინაძე

უაზრო სიტუაციების გმირის ინსტრუქციები

Scanned with CamScanner

მოქმედი პირები

პირველი პირი

მეორე პირი

კონვეიერი

უაზრო სიტუაციების გმირი

Scanned with CamScanner

სცენა იმგვარად არის განათებული, რომ კონვეიერი და მასზე მოძრავი Coca-Cola-ს ბოთლები ჯადოსნურ სანახაობად წარმოგვიდგება. კონვეიერთან, სცენის ცენტრში, რომაელი ცენტურიონის ფორმაში გამოწყობილი ორი მსახიობი დგას. კონვეიერი ირთვება, ბოთლების ჯაჭვი „ზლაზვნით" მიემართება სცენის ერთი ბოლოდან – მეორისაკენ.

Scanned with CamScanner

პირველი პირი. ყველაფრის ინტერესი დავკარგე.

მეორე პირი. რა ნახე რო საინტერესო?

პირველი პირი. დილას გარეთ გავიხედე, გამიკვირდა, რომ ცა ისევ არსებობს.

მეორე პირი. ჰო, მოღრუბლულია, დღეს წვიმაა გამოცხადებული.

პირველი პირი. ჰოო...

მეორე პირი. ნეტა როდის გამოვა ამინდები?

პირველი პირი. არ ვიცი, რა მჭირს.

მეორე პირი. არაფერი.

პირველი პირი. ჰოდა, ეგ არის ჩემი პრობლემა... სულ არაფერი, ზედმეტად მეტი არაფერი. არაფერი მაინტერესებს.

მეორე პირი. არც პირსინგებიანი პატარა პანკი გოგონას ქორფა მუტელი?

პირველი პირი. აღარც ეგ.

მეორე პირი. არც მინეტი, ისე, სხვათა შორის რომ გიკეთებენ?

პირველი პირი. არასოდეს ვგიჟდებოდი მინეტზე.

მეორე პირი. მე პირიქით, პირველად რომ გამიკეთეს, ვერ ვიჯერებდი... ნუთუ პირში უდევს, ნუთუ ჩაიდო... ძალიან მაგარი იყო. სამოთხეში მოვხვდი.

Scanned with CamScanner

პირველი პირი. შენს მშობლებს უმადლოდე.

მეორე პირი. რატომ? მათ არასოდეს გაუკეთებიათ ჩემთვის მინეტი.

პირველი პირი. მჯერა.

მეორე პირი. რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია.

პირველი პირი. ყველაფერი ყლეზე მკიდია.

მეორე პირი. მეც...

პირველი პირი. შენ არ გკიდია.

მეორე პირი. მკიდია.

პირველი პირი. არ გკიდია.

მეორე პირი. კარგი, არ მკიდია.

პირველი პირი. უბედური ვარ.

მეორე პირი. ბუნებრივი მდგომარეობაა. ყველა ბედნიერი ადამიანი – ბრიყვია.

პირველი პირი. შენც ხომ ბედნიერი ხარ, როცა მინეტს გიკეთებენ?

მეორე პირი. ხო, მაგრამ სექსი – სიკვდილის რეპეტიციაა.

პირველი პირი. მინეტიც?

მეორე პირი. მინეტი – გენერალური რეპეტიციაა.

კონვეიერზე ბოთლების ნაცვლად გამოჩნდება ჯვარცმები. კონვეიერთან მდგომნი ლურსმნებს აჭედებენ.

Scanned with CamScanner

პირველი პირი. გახსოვს ზღაპრებში, მთავარ გმირს რომ მდინარესთან აგზავნიან?

მეორე პირი. მე მახსოვს, რომ ზღაპრებში ყველა ერთმანეთს ტყნავს. დევი ტყნავს მეფის ასულს, დრაკონს ტყნავს რაინდი, რაინდს ტყნავს მეფე, მეფეს ტყნავს ჯადოსნური ჩიტი ან ბრძენი ვეზირი... და ასე, წრე იკვრება.

პირველი პირი. ჯდები მდინარესთან, რომ ჩამოივლის ვერცხლის წყალი, არაფერი. რომ ჩამოივლის სპილენძის წყალი, არაფერი. რომ ჩამოივლის ოქროს წყალი, ჩაყოფ თმას.

მეორე პირი. სად გაქვს, შე საცოდავო, თმა? მელოტი ხარ.

პირველი პირი. ოქროს თმები კი უნდა დამალო... რომ არ შეშურდეთ.

მეორე პირი. მერე?

პირველი პირი. არაფერი, ჩვენ ყველას გვაგზავნიან მაგ მდინარესთან.

მეორე პირი. მე მგონი, ეს კონვეიერი სულ არ ჰგავს მდინარეს.

პირველი პირი. ზღაპრები მომენატრა...

მეორე პირი. როცა ჩამოივლის ბოთლები. არაფერი, როცა ჩამოივლის მუტლები – არაფერი, როცა ჩამოივლის პირი – ჩაყოფ ყლეს.

Scanned with CamScanner

პირველი პირი. მინეტის მეტზე არაფერზე ფიქრობ, ხო?

მეორე პირი. კი, კიდევ ვფიქრობ ატომურ აფეთქებებზე.

პირველი პირი. გუშინ წიგნები გადმოვალაგე. ვერაფერს დაუვუდე გული. არაფერი მაინტერესებს.

მეორე პირი. რა არის რო საინტერესო?

პირველი პირი. ყველაფერი ისეთი მშრალი მეჩვენება.

მეორე პირი. არც არასოდეს მაინტერესებდა წიგნები.

პირველი პირი. მასხარა ხარ.

კონვეიერზე ჯვარცმებს თავისქალები ენაცვლება. თავის ქალები მოძრაობენ ნელა. ისინი მათ ხელში ათამაშებენ.

მეორე პირი. საბრალო იორიკ! მე მახსოვს იგი, ჰორაციო. საკვირველი ხუმარა და მშვენიერი ამბების მომგონი იყო.

პირველი პირი. ათასჯერ მეტად ვუტარებივარ თავის მხარზედ და ახლა როგორ მეზიზღება იმისი ნახვა. ლამის გული ყელში მომებჯინოს.

მეორე პირი. აი, აქ ჰქონდა ის ტუჩები, რომლისთვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიკოცნია. სად არის ეხლა შენი მხიარულება, შენი სიცელქე, შენი სიმღერა?!

პირველი პირი. ნაპერწკლები შენის ოხუნჯობისა, რაც ყველა მონადიმეთ აცინებდა, ახარხარებდა? რატომ ეს

Scanned with CamScanner

მაინც არ შეგიძლიან, რომ სასაცილოდ შენი კბილების კრეჭა აიგდო? სად არის შენი სავსე, მოცინარი ლოყები?!

მეორე პირი. წადი ახლა ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარ, რომ თუნდ ერთი ადლის სისქე ფერ-უმარილი წაითხუპნოს, იმის ბოლო მაინც ეს არის.

პირველი პირი. უთხარ ეს ამბავი და გააცინე.

კონვეიერზე თავის ქალებს მოჰყვება კოკაინი. ისინი კონვეიერზევე მიმოაბნევენ და შეიყნოსავენ მადლიან ფხვნილს.

მეორე პირი. ეს კონვეიერი ყინულის რომ იყოს...

პირველი პირი. და იესო მოსრიალებდეს...

მეორე პირი. მოსრიალებდეს თავისი მძიმე ძელით, გოლგოთისკენ რომ მიათრევდა...

პირველი პირი. ყველა სპილო აირწინაღში ერთად ყვიროდეს...

მეორე პირი. შორს, შორს, ჯვარს აცვი...

კონვეიერი იესოს ჩამოატარებს.

პირველი იესო კონვეირზე: „ჩემი სამეფო არ არის ამ წუთისოფლისა. ჩემი სამეფო რომ ამ წუთისოფლისა ყოფილიყო, მაშინ ჩემი მსახურნი იბრძოლებდნენ, რომ იუდეველებს ხელში არ ჩავვარდნოდი. არა, ჩემი სამეფო არ არის სააქაო."

Scanned with CamScanner

პირველი პირი. ე.ი. მეფე ხარ?

მეორე იესო კონვეირზე. შენ თავად ამბობ, რომ მეფე ვარ. მე იმიტომ დავიბადე და იმიტომ მოვედი წუთისოფელში, რომ ჭეშმარიტება დავამოწმო.

მეორე პირი. ყველა, ვინც ჭეშმარიტებიდანაა, ისმენს ჩემს ხმას... რა არის ჭეშმარიტება?

პირველი პირი. რა არის ჭეშმარიტება?

მეორე პირი. რა არის ჭეშმარიტება?

კონვეიერზე წამოსული რამდენიმე ადამიანი ყვირის:

„ეს კი არა, ბარაბა."

პირველი და მეორე პირი შოლტებს დააძრობენ და ცხრა პირ ტყავს აძრობენ კონვეიერზე მწოლიარეთ.

პირველი პირი. დავიღალე, ასე მგონია აღარასოდეს დამთავრდება სამუშაო დღე.

მეორე პირი. რა უნდა გვეკეთებინა, ეს სამსახური რომ არ გვქონოდა? როგორ გავიყვანდით დროს? როგორ შევძლებდით ცხოვრებას?

პირველი პირი. როგორ ცხოვრობენ ჩიტები?

მეორე პირი. გავკადნიერდები და დავაფიქსირებ, რომ ჩვენ ადამიანები ვართ.

პირველი პირი. ხანდახან როცა დოკუმენტურ ფილმს

Scanned with CamScanner

ვუყურებ გორილებზე, მეჩვენება, რომ იმათ უფრო გონივრული გამომეტყველება აქვთ, მეტიც, ბრძნულიც კი, ვიდრე ამ დარბაზში მსხდომთა ნახევარს.

მეორე პირი. როგორ ვიცხოვრებდით ამ კონვეიერის გარეშე?

პირველი პირი. ვაკეთებდით იმას, რაც ყველაზე უკეთ გამოგვდის – არაფერს.

მეორე პირი. მოწყენილობისგან არ გვეცოდინებოდა რა გვექნა.

პირველი პირი. ჰოდა, შენი ადგილი აქ არის.

მეორე პირი. ასე თუ გააგრძელებ...

პირველი პირი. არა, რას იზამ ასე თუ გავაგრძელებ...

კონვეიერს ახლა კუბო მოაქვს. ისინი ერთმანეთს ებრძვიან. საბოლოოდ მეორე დანას გაუყრის პირველს და კუბოში ჩააგდებს.

მეორე პირი. აღარაფერი მაინტერესებს...

მშვიდად აყოლებს თვალს კულისებში გაუჩინარებულ კუბოს. კონვეიერზე მშვიდად მოძრაობს რამდენიმე ტელევიზორი, ბნელ დარბაზში ამტყდარი მქუხარე აპლოდისმენტებით. პირველი პირი იხსნის შარვალს. იღებს ყლეს. დებს კონვეირზე და გადის კულისებში. სცენაზე

Scanned with CamScanner

შემოდის უაზრო სიტუაციების გმირი. დაახლოებით 70-80 სმ-ის სიმაღლის. მწვანე, კამუფლაჟირებული შარვალი და ვარდისფერი ქურქი აცვია. თმები გაჩეჩილი. უაზრო სიტუაციების გმირი არაფერს ამბობს. დგას და ტირის. ხელში ორი მოზრდილი ლუპა უჭირავს. მაყურებელი ხედავს მის ლოყაზე ჩამოსრიალებულ ცრემლებს.

ფარდა

Scanned with CamScanner